ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: ი.ბ.ა. „დიდუბე-23“ (ტელ:551 23 08 80)

საფუძველი: 04.11.2013 წ. №12/13308320-16

მისამართი: ქ.თბილისი, სექტორი დიდუბე, დიდუბის ქ №23

საკ.კოდი: 01.13.05.012.021

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება

16.05.2013წელს №691456 AR1122697

ფუნქციური დანიშნულება: მრავალფუნქციური შენობა

კლასი: IV კლასი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (20.11.2013) დადგინდა:

ავტოსადგომის სართულზე „2-1“ მონაკვეთში „ე-ე“ ღერძზე კარი ნაცვლად ასაწევისა, მოძრავია.

I სართულზე „1-2“ მონაკვეთში „ბ-ბ“ ღერძზე გაზრდილია მონოლითური კედლები სიგრძეში დაახლოებით 0.40მ-ით. „2-2“ ღერძის მიმდებარედ მოწყობილია ორი საკომუნიკაციო შახტა. „ა-ბ“ მონაკვეთში „3-3“ ღერძთან კიბეზე გაუქმებულია ორი საფეხური. ამავე მონაკვეთში „4-4“ ღერძთან შენობის კედელთან მოწყობილია საკომუნიკაციო შახტა. „ბ-გ“ მონაკვეთში „4-4“ ღერძზე გაზრდილია ვიტრაჟი სიგანეში დაახლოებით 0.15მ-ით.

II და III სართულებზე „ა-ბ“ მონაკვეთში „ბ-ბ“ ღერძთან კიბის მარშში ერთი რიგი შემცირებულია სიგანეში დაახლოებით 0.15მ-ით.

X, XI და XII სართულზე „ბ-ბ“ ღერძზე აივანზე მონოლითურ კედელში მოწყობილია ღიობი.

XIII სართულზე „4-3“ მონაკვეთში ტერასაზე მოწყობილია კაპიტალური ხელსაბანი. ბ-ბ ღერძზე 1-1 ღერძთან კოლონასა და კედელზე მოწყობილია მცირე ზომის კედლები. „5-5“ და „$ა^{I}$-$ა^{II}$“ ღერძების გადაკვეთაზე გასქელებულია კოლონები დაახლოებით 0.40მ-ით.

XIV სართულზე „1^{I}-1^{II}“-„ა-ა“ და „5-5“ და „$ა^{II}$-$ა^{II}$“ ღერძების გადაკვეთაზე გასქელებულია კოლონები დაახლოებით 0.40მ-ით. „4-4“ ღერძის მარჯვნივ აივანზე ნაცვლად კოლონისა მოწყობილია კუთხოვანი ფორმის დიაფრაგმა.

სახურავზე „ე-ე“ ღერძის გარეთ ბუხრის მილის ყელი კედლით დაკავშირებულია პარაპეტთან, , შენობის სახურავზე შეცვლილია სავენტილაციო ღიობებზე ქუდის ფორმა. „2-3“ მონაკვეთში სამანქანოს კედლის ღიობში მოსაწყობია კარი.

სართულებზე „დ-დ“ ღერძზე მონოლითურ კედლებში მოწყობილია კარის ღიობები.

„ე-ა“ ფასადზე +0.00 ნიშნულზე „ე-ე“ ღერძის მარცხნივ ღობის კედელი გათხელებულია. +4.20 ნიშნულზე „ე-ე“ ღერძთან აივანზე შეცვლილია რუსთით ლესვის ელემენტი, ამავე ღერძის მარცხნივ +4.20დან +33.20 ნიშნულის ჩათვლით შეცვლილია აივანზე გამავალი კარებების ნახატი, ასევე +7.50დან +20.40 ნიშნულის ჩათვლით

აივნებზე დამატებულია დამატებითი რუსტის ხაზი. „ე-ე“ ღერძის მარჯვნივ +39.60 ნიშნულზე აივანზე კარის ნაცვლად მოწყობილია ფანჯარა. +10.80დან +26.60 ნიშნულის ჩათვლით „გ-ბ“ მონაკვეთში აივნებზე მოწყობილ ვერტიკალურ კედლის მთელ სიმაღლეზე დამატებულია რუსტები.

„5-1“ ფასადზე +4.20 ნიშნულზე „4-4“ ღერძის მარჯვნივ არ არის აივნის კედელი დამუშავებული რუსტებით. +4.20 დან +42.80 ნიშნულის ჩათვლით „3-4“ მონაკვეთში აივნის მოაჯირები გაზრდილია სიმაღლეში დაახლოებით 0.15მ-ით. +4.20 დან +33.20 ნიშნულის ჩათვლით „4-4“ ღერძის მარჯვნივ გაზრდილია აივნები სიმაღლეში დაახლოებით 0.15მ-ით. +4.20 ნიშნულზე 1-1 ღერძთან შემცირებულია აივნის სისქე. +39.60 ნიშნულზე 4-4 ღერძის მარჯვნივ აივანზე კარის ნაცვლად მოწყობილია ფანჯარა ხოლო მის თავზე გასქელებულია აივნის ძირი. +42.80 ნიშნულზე 1-1 ღერძთან რიგელი ნაცვლად ყვითლისა შეღებილია ნაცრისფერში.

„$ა^{II}$-ე“ ფასადზე „$ა^{II}$-$ა^{II}$“ ღერძის მარცხნივ +14.00 დან +36.40 ნიშნულის ჩათვლით კედელი დამუშავებულია რუსტებით. +0.00 ნიშნულზე „ე-ე“ ღერძის მარჯვნივ აივნის ქვეშ კომუნიკაციების შეფუთული ნაწილი ნაცლად ნაცრისფერისა შეღებილია ყვითელ ფერში. +10.80 დან 42.80 ნიშნულის ჩათვლით „ბ-გ“ მონაკვეთში გაზრდილია მინაბლოკების ღიობი სიმაღლეში დაახლოებით 0.40 მ-ით. ამავე მონაკვეთში +10.80 დან +42.80 ნიშნულის ჩათვლით სადარბაზოში მოწყობილია ზღუდარები და ფასადის მხარეს მოწყობილია საკომუნიკაციო შახტა რომელიც შეღებილია ყვითელ ფერში. +36.40 ნიშნულზე „გ-დ“ მონაკვეთში აივანის შიგნით კედლები შესაღებია. +39.60 ნიშნულზე „გ-დ“ მონაკვეთში შეცვლილია ფასადზე კედლის გამოსვლის ფორმა, და აღნიშნულ ნიშნულზე მოწყობილია ტენტი. +42.80 ნიშნულზე „ე-ე“ ღერძის მარჯვნივ შემცირებულია ვიტრაჟი სიმაღლეში დაახლებით 0.20მ-ით. +46.00 ნიშნულზე „ა-ა“ ღერძთან სანიაღვრე მილების თავზე მოწყობილია თუნუქის გადახურვა, ხოლო ბუხრის მილი შემცირებულია სიმაღლეში და მოწყობილია პარაპეტის დონეზე. ა„-ბ“ მონაკვეთში 4.20დან 10.80 ნიშნულამდე შესალეს შესაღებია კედელი.

„1-5“ ფასადზე +0.00 ნიშნულზე 4-5 მონაკვეთში მოწყობილია რიგელი. +4.20 ნიშნულზე დამატებულია ორი რუსტი.

შენობის ფასადებზე შეცვლილია აივანზე გამავალი კარებების ნახატი, ასევე შეცვლილია ნაწილობრივ ვერტიკალური ვიტრაჟების ნახატი, ფასადებზე დამონტაჟებულია, კონდენციონერები, გამათბობლები და გამწოვები. (VIII სართულზე ბინა № 33 აღებული აქვს წერილი არქიტექტურისგან აღნიშნულის შესრულებაზე AR171603).

პროექტის ხარვეზი:

სახურავზე სამანქანოს თავზე ნაცვლად სწორი გადახურვის მოწყობილია ქანობიანი სახურავი, რის გამოც გაზრდილია სიმაღლე დაახლოებით 0.60მ-ით აღნიშნული გადახურვა ნაჩვენებია ფასადის ნახაზზე. სახურავზე მოწყობილია თუნუქის გადახურვა რომლის ქანობები არ არის ნაჩვენები 1-1 ჭრილში, ნაჩვენებია „2-2“ ჭრილში.

ლ.ცინცაძე

ნ.კობახიძე